ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №7
2024 წლის 31 მაისი

ქ. ბაღდათი

„ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის N4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 17 იანვრის №4 დადგენილებაში (საკანონმდებლო მაცნე www.matsne.gov.ge, 24.01.2018 წ., სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.124.016280) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

1.დადგენილებით დამტკიცებულ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების მე-3 მუხლის პირველ პუნქტს (აპარატის ძირითადი ფუნქციები) დაემატოს „ო[1]" ქვეპუნქტი:

„ო[1]) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების ხელშეწყობა და ორგანიზაციული უზრუნველყოფა."

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის **გურამი კიკნაველიძე**
პირველი მოადგილე